

ნინო გორდელაძე  
თინათინ კუხიანიძე

# ნამდვილი და მოგონილი ამბები



საკითხავი და სავარჯიშოები მესამეკლასელთათვის



## ეს წიგნი ეკუთვნის

სახელი .....

გვარი .....

# სარჩევი

|   |    |
|---|----|
| პატარა წრუნუნა (იგავ-არაკი) .....                   | 5  |
| ნადირთა ძმობა (ქართული ხალხური ზღაპარი) .....       | 9  |
| კურდღელი და კუ (იგავ-არაკი) .....                   | 12 |
| ფარშავანგი (იგავ-არაკი) .....                       | 16 |
| ჭკვიანი ძაღლი (მოთხრობა) .....                      | 19 |
| ჭიამაია (უფროსი ძმისა და უმცროსი დის საუბარი) ..... | 23 |
| ბოსტნის მცველები .....                              | 26 |
| გაიცანი ჭრიჭინა! .....                              | 28 |
| ტყე .....   | 29 |
| ჭიანჭველას ძალა .....                               | 33 |
| როგორ გაუჩნდათ სპილოებს ხორთუმი? (ზღაპარი) .....    | 34 |
| გაოცებული მგელი (იგავ-არაკი) .....                  | 41 |
| იგავ-არაკი უსათაუროდ .....                          | 42 |
| მებადურის შვილი (ზღაპარი) .....                     | 43 |
| დროის ფასი (იგავ-არაკი) .....                       | 51 |
| გამოიგონე ზღაპარი .....                             | 54 |

## 1

## პატარა წრუნუნა

(იგავ-არაკი)

ამ იგავში გამოტოვებულია ორი მნიშვნელოვანი სიტყვა.  
წაიკითხე, გამოიცანი და ჩანერე!

სოროდან გამოცუნცულდა პატარა წრუნუნა. უნდოდა შეეტყო, რა ამბავია ქვეყანაზე. ეზოში გაბედულად გაძვრა-გამოძვრა, მაგრამ ცოტა ხანში გულგახეთქილი ისევ სოროში შევარდა.

– რა დაგემართა, სად იყავი? – ჰკითხა დედა თავგვამ.

– ეზოს დასათვალიერებლად.

– მერე, რამ შეგაშინა?

– იქ ორი მხეცი ვნახე. ერთი ძალიან საშიში უნდა იყოს: თავზე ხერხი ადგას, თვალებს აბრიალებს და მოკაუჭებული ნისკარტი აქვს. რომ შემომხედა, ცალი ფეხი შეიკეცა, პირი დაალო და ისე დაიყვირა, რომ გული გამისკდა.

– შვილო, ეგ მხეცი კი არა, \_\_\_\_\_, მაგისი როგორ შეგეშინდა, ეს ფრინველი არავის ავნებს, – უთხრა დედამ.

– მეორე კი ძალიან საყვარელი მხეცი უნდა იყოს. მრგვალი თავი და



დიდი თვალეები აქვს. ტურებზე უღვაშები ლამაზად გადაუნყვია. ტანი ბუნვით აქვს შემოსილი. თავის გრძელსა და ფაფუკ კუდს აქეთ-იქით აქნევს. ნაზ თათებზე ჩვენსავით პატარა ბრჭყალები აქვს. მე რომ ეზოში გავედი, მზეზე იწვა, კოტრიალობდა, ხან წამოჯდებოდა და ენით თათებს ილოკავდა. თვალებსაც ხან გაახელდა და ხან დახუჭავდა. ისეთი ლამაზი იყო, ისეთი, რომ კოცნა მომინდა და მივუახლოვდი. რომ დამინახა, ჩემკენ გამოქანდა. მე შემეშინდა და უცებ გამოვიქეცი.

– ღმერთო ჩემო, ეს ხომ \_\_\_\_\_ . შვილო, ამჯერად გადარჩენილხარ, მაგრამ ყოველთვის ერიდე ამ ცხოველს, თორემ ერთხელაც, სხვა თავგებივით, ვერც შენ გადაურჩები მის კლანჭებსა და კბილებს! – დაარიგა აღელვებულმა დედა თავგმა თავისი პატარა ცნობისმოყვარე წრუნუნა.

იაკობ გოგებაშვილის მიხედვით



# დავალბები

1. რატომ უნდა მწერალმა ამ წრუნუნას ცნობისმოყვარე?

ჩანერე პასუხი:

---

---

---


2. რა არის ამ იგავის მთავარი სათქმელი?


შეარჩიე და მონიშნე ერთი სწორი პასუხი:

- ის, რაც ერთი შეხედვითაც მოგეწონება, საშიში არ არის
- ის, რაც ერთი შეხედვით არ მოგეწონება, საშიშია
- ერთი შეხედვით არ უნდა გადანყვიტო, რა არის საშიში და რა არა.

3. აღწერე კატა და მამალი. სწორად მიუწერე:

ულვაში, ბეწვი, თათი, ბრჭყალი, კუდი, ბიბილო, ნისკარტი,  
ფრთა, ბოლო, დეზი, კლანჭი





4. გაასწორე წრუწუნას მიერ დაშვებული შეცდომები, ჩანერე შესაფერისი სიტყვები:

ეზოში ერთი მხეცია \_\_\_\_\_, თვალებს აბრიალებს და მოკაუჭებული ნისკარტი აქვს. რომ შემომხედა, ცალი თეხი შეიკეცა, პირი დაალო და ისე დაიყვირა \_\_\_\_\_, რომ გული გამისკდა.

დათვი, მგელი და მელა შეხვდნენ და ერთმანეთს შესჩივლეს: რადგან ხშირად დიდი ხნობით შიმშილით კუჭი გვიხმება, მოდი, დავძმობილდეთ და ამიერიდან რასაც მოვინადირებთ, ძმურად გავიყოთ ხოლმეო. დაძმობილდნენ და შეჭფიცეს, ერთმანეთისთვის არ ელაღატათ.

ნავიდნენ სამივენი სანადიროდ. ბედად გზად მკვდარი ძროხა იპოვეს, მინდორზე დასხდნენ და გაყოფას შეუდგნენ. დათვმა შეხედა შიმშილით კბილებაკანკანებულ მგელს და უბრძანა, გაყავიო.

მგელმა თქვა:

– თავი შენ, როგორც ჩვენს ბატონსა და მეთაურს, შუა ტანი – მე, ფეხები კი – მელას, რომელსაც ცუნცული უყვარსო.

ეს უკანასკნელი სიტყვები ჯერ არც კი გაეთავებინა მგელს, რომ დათვმა ისე ღონივრად ჩაჰკრა თავში თათი, მთებმა ბანი მისცეს. მგელი ღმუილით გავარდა განზე.

დათვი ახლა მელას მიუბრუნდა და უთხრა:

– ჩემო მელავ, შენ გაჰყავიო!

ცბიერმა მელამ მოწინებით წარმოთქვა:

– თავი შენ, ვითარცა ჩვენს მეფეს, შუა ტანი შენ, რადგანაც ჩვენზე მუდამ მამობრივად ზრუნავ, და ფეხებიც შენ, ვინაიდან ჩვენდა საკეთილდღეოდ დადიხარ ყველგანაო!

– ბარაქალა, ჩემო მელავ, ვინ გასწავლა ეგეთი ჭკვიანური გაყოფაო? – ჰკითხა დათვმა.

– შენ რომ წელან მგელს თავში ჩაარტყი, ჭკუას როგორ ვერ ვისწავლიდიო? – მიუგო მელამ.

ასე დასრულდა ნადირთა დაძმობილება. მტაცებლების ერთობა ზღაპრადაც არ თქმულა!





# დავალებები

1. მონიშნე ანდაზა, რომელიც, შენი აზრით, ამ ზღაპარს შეეფერება:

- რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო.
- ძალა ერთობაშიაო.
- ძალა აღმართსაც ხნავსო.
- მელამ თავისი კუდი მონმედ მოიყვანაო.



ახსენი, რატომ შეეფერება შენ მიერ შერჩეული ანდაზა ამ ზღაპარს?

---

---

---

2. ზღაპრის მიხედვით, მგელი უფრო ცბიერია თუ მელა? შენი არჩევანი დაასაბუთე:

---

---

---

3. მონიშნე გამოთქმა, რომელიც ნიშნავს ძლიერი ხმის ექოს:

- კლდემ ზანზარი დაინყო.
- მთებმა ბანი მისცეს.
- მდინარეები აღიდდნენ.
- მინა იძრა.



4. ჩამოთვლილთაგან რომელი გამოხატავს ამ ზღაპრის მთავარ სათქმელს? მონიშნე:

- ზღაპრებში მელა ძალიან ცბიერია.
- ზღაპრებში დათვი უსამართლო და სასტიკია.
- მტაცებელთა ერთობა ზღაპრადაც არ თქმულა.
- მგლის მაგალითზე მელა ჭკუას სწავლობს.

5. ცხოველების სიარულს სხვადასხვა სიტყვით აღვნიშნავთ. ხაზით დააკავშირე ნადირი და მისი შესაბამისი სიტყვა:

- ა. მგლის                      ცუნცული
- ბ. დათვის                ძუნძული
- გ. მელას                    ბაჯბაჯი

6. მონიშნე მსგავსი სიტყვა:

ბარაქალა - იგივეა, რაც

- ვაიმე     ჩუმად
- არაფრის                                         ყოჩაღ

7. იპოვე ტექსტში სიტყვა „ბარაქალა“ და წინადადება ამოიწერე:

---

---

# 3

## კურდღელი და კუ (იგავ-არაკი)

- დიდ მინდორში კურდღელი და კუ შეხვდნენ ერთმანეთს.
- საით მიიჩქარი, ძმობილო? – დაცინვით ჰკითხა კურდღელმა.
  - ასე მითხრეს, აი იქ, გორაკი რომ მოჩანს, – ანიშნა კუმ მინდვრის ბოლოზე, – გემრიელ საკვებს იპოვიო. თუ გინდა, ერთად წავიდეთ!
- კურდღელმა ჩაიცინა:
- სიამოვნებით წავალ, მაგრამ შენთან ერთად სიარული რას მარგებს?! სანამ შენ იმ გორაკთან მიხვალ, მე კიდევ დავნაყრდები და ჩემს სორო-შიც დავბრუნდები. დავნაძლევდეთ, თუ ასე არ იქნება, – თქვა და გაიქცა.
- ის ჯერ შუა მინდორში იყო, როცა თავის მეგობარ კურდღელს მოჰკრა თვალი. გაუხარდა მისი დანახვა და გადანყვიტა: მოდი, მეგობართან წავითამაშებ, სულერთია, იმ კუს მაინც მივასწრებო.
- კურდღლებმა კარგა ხანს ინავარდეს, თამაშით გული იჯერეს და ბოლოს გამოემშვიდობნენ ერთმანეთს.
- გორაკამდე ჯერ ისევ შორი გზა იყო, როცა ჩვენმა კურდღელმა ახლა ბუჩქი დაინახა და გაიფიქრა: ბევრი ვინავარდე, ცოტა ხნით ამ ბუჩქის ძირში დავისვენებ და გზას მერე განვაგრძობ, კუს ხომ მაინც მივასწრებო.
- ასეც მოიქცა. წამოგორდა ბუჩქის ქვეშ და დალილს მალე ჩაეძინა.
- სანამ კურდღელს ეძინა, კუ თავის გზას განაგრძობდა, მიათრევდა თავისი ბაკნით დამძიმებულ სხეულს, უძნელდებოდა სიარული, მაგრამ არსად შეჩერებულა, ნაბიჯი არ შეუწელებია.
- გამოიღვიძა თუ არა კურდღელმა, მარდად წამოხტა და გორაკისაკენ გაეშურა.
- მიხტის ჩვენი კურდღელი და კმაყოფილი ფიქრობს: „მეგობართანაც